დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109223427**
თარიღი:**08/12/2022**

„დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ"

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-4 ნაწილისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა" დამართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერმა.

მუხლი 3.

განკარგულება ამოქმედდეს 2023 წლის 01 იანვრიდან.

მუხლი 4.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი N1

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა

მუხლი 1. მიზანი

პროგრამის (შემდგომში „პროგრამა“) მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სამეურნეო დანიშნულებით დამუშავების პროცესის წახალისება და მოქალაქეთა ხელშეწყობა.

მუხლი 2. სამიზნე ჯგუფი

1. აღნიშნული პროგრამის სამიზნე ჯგუფია (შემდგომში „ბენეფიციარი“) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირი, რომლის სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 (ასი ათასი) და რომელსაც დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აქვს (ფაქტობრივი ფლობა, საკუთრება) დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
2. პროგრამის ბენეფიციარებს განსაზღვრავს მერის წარმომადგენლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მერი ან მის მიერ ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.

მუხლი 3. პროგრამის ფარგლები და დაფინანსების წყარო

1. ბენეფიციარი მიმდინარე წლის განმავლობაში ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს მოთხოვნის შესაბამისად, არანაკლებ 0,05 ჰა და არაუმეტეს 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის დამუშავებისას.
2. პროგრამის დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური“-სათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.
3. ამ პროგრამის ბენეფიციარებისათვის მომსახურება არის უფასო.

მუხლი 4. პროგრამის შესრულების ვადები

1. პროგრამა დაიწყება 2023 წელს და განხორციელდება მიმდინარე წელს 6 (ექვსი) თვის განავლობაში ორ ეტაპად: პირველი ეტაპი - 15 მარტიდან, აპრილი, მაისი და მეორე ეტაპი - სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, 15 დეკემბრამდე.
2. პროგრამის აღსრულებას მერის დავალების საფუძველზე ახორციელებს ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური“ (შემდგომში „აღმსრულებელი“).

მუხლი 5. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

დაინტერესებული პირის ზეპირი მიმართვის საფუძველზე მერის წარმომადგენელი აღმსრულებელს აწვდის ინფორმაციას სადაც აღნიშნული უნდა იქნას დაინტერესებული პირის ვინაობა, დასამუშავებელი მიწის ფართი და ფლობის ფორმა, ასევე განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ. აღმასრულებელი გასცემს ცნობას, რომელიც უნდა წარედგინოს ადგილზე შემსრულებელს (მერის მიერ განსაზღვრულ პირს და დაინტერესებულ პირს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელიც ინახება აღმასრულებელთან.